საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 2038
16/04/2019

2038-09-2-201904161005

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

„სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების შესაბამისად“ განსახილველად და მოსაწონებლად წარმოგიდგენთ ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხას.

გთხოვთ, განიხილოთ და მოიწონოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

№	მუნიციპალიტეტი	სოფელი	დაგეგმილი პროექტების დასახელება	სამუშაოს ტიპი	სავარაუდო ღირებულება
1	ლანჩხუთი	აკეთი	აკეთის ამბულატორია	რეაბილიტაცია	20000
2	ლანჩხუთი	აცანა	აცანის ამბულატორია	რეაბილიტაცია	25000
3	ლანჩხუთი	ნიგოითი	ნიგოითის ამბულატორია	რეაბილიტაცია	25000
4	ლანჩხუთი	შუხუთი	შუხუთის ამბულატორია	რეაბილიტაცია	25000
5	ლანჩხუთი	სუფსა	სუფსის ამბულატორია	მშენებლობა	72416

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2019 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის N120 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**